



საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო

ქ. თბილისი № 1/145

„21“ სექტემბერი 2015 წ.

გ ა ღ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა

ა. ხუროძის გალი-გულრიფშისა და ოჩამჩირე-ტყვარჩელის რაიონული სასამართლოს მოსამართლის თანამდებობიდან გათავისუფლების შესახებ

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 36-ე მუხლის მე-5 პუნქტი ითვალისწინებს მოსამართლის თანამდებობაზე ყოფნის ვადის გასვლის შემთხვევაში, იუსტიციის უმაღლესი საბჭოს გადაწყვეტილებით მოსამართლის უფლებამოსილების გაგრძელების შესაძლებლობას მისი მონაწილეობით დაწყებულ საქმეზე საბოლოო გადაწყვეტილების გამოტანამდე. აღნიშნული რეგულაციის მიზანს წარმოადგენს სწრაფი და ეფექტური მართლმსაჯულების უზრუნველყოფა, საქმის განხილვის შესაძლო გაჭიანურების თავიდან აცილება და პროცესის მონაწილე მხარეთა ინტერესების დაცვა. მოცემული ნორმა არ ითვალისწინებს მოსამართლისათვის რაიმე სახის დამატებითი გარანტიების შექმნას.

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 36-ე მუხლის მე-5 პუნქტის ნორმა არ განსაზღვრავს საქმის განხილვის დასრულების კონკრეტულ ვადას, თუმცა ნორმის მიზნიდან გამომდინარე, ვადა უნდა იყოს გონივრული და ემსახურებოდეს მართლმსაჯულების ინტერესებს. მოსამართლე ანჟელი ხუროძეს მისი მონაწილეობით დაწყებულ საქმეებზე საბოლოო გადაწყვეტილების გამოტანამდე იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიერ უფლებამოსილების ვადა გაუგრძელდა 2013 წლის 5 ივლისის №1/142 გადაწყვეტილებით. იუსტიციის უმაღლესი საბჭოს გადაწყვეტილების მიღების მომენტიდან გასულია 2 წელი და 2 თვე. მოსამართლე ა. ხუროძის მიერ ამ დრომდე არ მოხდა მის წარმოებაში არსებული საქმეების დასრულება. შესაბამისად, დარღვეულია საქმეთა განხილვის საპროცესო კანონმდებლობით დადგენილი და ყოველგვარი გონივრული ვადები.

საქმეთა განხილვის ასეთი გაჭიანურება იწვევს მართლმსაჯულების განხორციელების შეფერხებასა და პროცესის მხარეთა ინტერესების შელახვას. გასათვალისწინებელია ის გარემოება, რომ უფლებამოსილების გაგრძელების შემთხვევაში მოსამართლეზე არ ნაწილდება სასამართლოში შემოსული ახალი საქმეები. ამასთან, იუსტიციის უმაღლესი საბჭო მოკლებულია შესაძლებლობას აღნიშნული მოსამართლის გათავისუფლებამდე იმავე საშტატო ერთეულზე გაამწესოს ახალი მოსამართლე. აღნიშნული იწვევს სასამართლოში სრული დატვირთვით მომუშავე მოსამართლეთა რაოდენობის შემცირებას, მათი სამუშაო დატვირთვის გაზრდას, რაც თავის მხრივ ზრდის მათ წარმოებაში არსებული საქმეების განხილვის გაჭიანურების რისკს, ამცირებს დროული მართლმსაჯულების მიღების შესაძლებლობას ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენციის

მე-6 მუხლით გარანტირებულ მოთხოვნათა საპირისპიროდ. ამგვარად, „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 36-ე მუხლის მე-5 პუნქტის გამოყენებამ, რომლის მიზანია დაწყებული საქმეების დროული დასრულება და მხარეთა უფლებების დაცვა და არა მოსამართლის თანამდებობაზე ყოფნის ვადის გახანგრძლივება, ვერ უზრუნველყო პრაქტიკაში იმ მიზნის მიღწევა, რასაც ის ემსახურება.

იუსტიციის უმაღლესმა საბჭომ, რომელიც პასუხისმგებელია მართლმსაჯულების ხარისხისა და ეფექტიანობის უზრუნველყოფაზე, უნდა იმოქმედოს მართლმსაჯულების ინტერესებიდან გამომდინარე და უზრუნველყოს სასამართლო სისტემის გამართული ფუნქციონირება. იუსტიციის უმაღლესი საბჭო უფლებამოსილია ძალადაკარგულად გამოაცხადოს თავისი დისკრეციული უფლებამოსილების ფარგლებში მიღებული ის სამართლებრივი აქტი, რომელიც მიღების დროს იყო კანონიერი, მაგრამ აქტის მიღების ფაქტობრივი საფუძვლების შეცვლის გამო მისი შემდგომი მოქმედება მიზანშეუწონელია. შესაბამისად, შექმნილი ვითარებიდან გამომდინარე იუსტიციის უმაღლესი საბჭო მიზანშეუწონლად მიიჩნევს ა. ხუროძის მიმართ „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 36-ე მუხლის მე-5 პუნქტის საფუძველზე მიღებული გადაწყვეტილების მოქმედების შემდგომ გაგრძელებას.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, 2015 წლის 1 ოქტომბრიდან:

1. ძალადაკარგულად გამოცხადდეს „ა. ხუროძისათვის დაწყებული საქმეების განხილვის დამთავრებამდე მოსამართლის უფლებამოსილების ვადის გაგრძელების შესახებ“ საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2013 წლის 5 ივლისის №1/142 გადაწყვეტილება.

2. „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 43-ე მუხლის პირველი პუნქტის „ნ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, ანჟელი ხუროძე გათავისუფლდეს გალი-გულრიფშისა და ოჩამჩირე-ტყვარჩელის რაიონული სასამართლოს მოსამართლის თანამდებობიდან, უფლებამოსილების ვადის გასვლის გამო.

6. 
ნინო გვენეტაძე

საქართველოს იუსტიციის
უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე